
შპს ლილეო

სამშენებლო და საექსპერტო კვლევითი სამუშაოების ჯგუფი





სამუშაო გამოცდილება

ექსპერტიზის ჩატარება დაევალა ექსპერტს - **ალექსანდრე ყურაშვილს,** რომელსაც აქვს:

-უმაღლესი ტექნიკური განათლება კვალიფიკაციით - სამოქალაქო სამრეწველო მშენებლობა, ხარისხი - მაგისტრი
- ამ დარგში მუშაობის გამოცდილება - 10 წელი.
-2007-2010 წ. სახელმწიფო უზრუნველყოფის სამხასური (ავლაბრის ადმინისტრაციული კომპექსის მშენებლობა) თანამდებობა: ქონების განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი
-2010-2016 წ. შპს „ლილეო"- საპროექტო-სამშენებლო ორგანიზაცია, სპეციალობა: ინჟინერ-ექსპერტი

ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება

2. სამშენებლო უსაფრთხოების ნორმები და შენობებისა და ნაგებობების მშენებლობა (СН И П 1-04-03-85)

3. შენობა-ნაგებობებზე სამშენებლო ძირითადი კონსტრუქციების უსაფრთხოების ნორმები და წარმოების წესები (СН И П III -4-80)

4. შენობა-ნაგებობებზე ექსპერტიზის წარმოების წესები და მეთოდები



საექსპერტო დასკვნა სამშენებლო სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ

ქ.თბილისი, გამზირი ი. ჭავჭავაძე №49ბ, საკადასტრო კოდით №01.14.07.008.017.02.004ბ მოქალაქე ეკატერინე პაპაშვილის საკუთრებაში არსებულ ბინის ფართზე განხორციელებულ ცვლილებებზე დადგენილი ნორმების მიხედვით სამშენებლო სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ საექსპერტო კვლევა



თბილისი

2017 წელი

შინაარსი

ქ.თბილისი, გამზირი ი. ჭავჭავაძე №49ბ, მეორე სართული, ბინა №4ბ-ში მცხოვრები მოქალაქე ეკატერინე პაპაშვილის მინდობილი პირი მოქალაქე თამილა კოჭლამაზაშვილის თხოვნის საფუძველზე დაგვევალა შემოწმება ჩაგვეტარებინა მის კუთვნილ ფართზე მეორე სართულზე აივანზე ჩატარებული დადგენილი ნორმების მიხედვით სამშენებლო სამუშაოების უსაფრთხოების გამოსაკვლევად. კვლევის მიზანს წარმოდგენს შევისწავლოთ არსებული მდგომარეობა და განვსაზღვროთ სამშენებლო სამუშაოების მართებულობა ერთიანი კონსტრუქციული მზიდუნარიანი ელემენტების მიმართ უსაფრთხოების თვალსზრისით.

აღნიშნული ტერიტორიაზე მდებარეობს თერთმეტ სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი დანიშნულების სახლი, სადაც საკვლევ ობიექტს წარმოდგენს მოქალაქე ეკატერინე პაპაშვილის ბინის ფართზე უკნა ფასადის მხრიდან აივნის ტერასა. არსებული შენობის შესწვალის საფუძველზე კონსტრუქციული მახასიათებლები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

1. არსებული კორპუსის საძირკველი განხორციელებულია რკინა-ბეტონის ხიმინჯებზე;
2. შენობის კონსტრუქციული სქემა მონოლითური რკინა-ბეტონის კარკასული ტიპისაა;
3. სართულშუა გადახურვები და ყველა ძირითადი გადახურვები მოწყობილია ორმაგად არმირებული მონოლითური ფილებით

აღნიშნული ფართი მდებარეობს მეორე სართულზე ბინა №49ბ-ში, სადაც ფასადის უკანა მხრიდან გააჩნია დიდი ტერასა, ხოლო მოქალაქე ეკატერინე პაპაშვილის ბინის ფართს აივანი კონსოლური ტიპის, რომელიც მდებარეობს აღნიშნულ ტერასასთან. უსაფრთხოების ნორმატივების გათვალისწინებით წარმოდგენილი ფართი არის ერთიანი მონოლითური რკინა-ბეტონის სართულშუა ფილის შეემადგენელი ნაწილი, სადაც გამოირიცხება დამაზიანებელი ძალვებისა და სამშენებლო სამუშაოების თვალსაზრისით აღნიშნულ შემთხვევაში უსაფრთხოების ნორმების დარღვევა. არსებული მდგომარეობით აივანს

გვერდებზე გააჩნია სტანდარტული წვრილმარცვლოვანი ბლოკებით ამოშენებული კედლები, რომელიც ყოფს და მიჯნავს არსებულ მომიჯნავე ფართებთან, ასევე გააჩნია ბლოკის წყობით ნაშენი მოაჯირი, რაც აუცილებლობას წარმოდგენს იმ თვალსზრისით, რომ არ მოხდეს სავალალო შედეგი (ჯანმრთელობის დაზიანება), შესაბამისად დაცულია უსაფრთხოების ნორმები და მათ შორის შენობა აკმაყოფილებს უსაფრთხოების ნორმებს მშენებლობით წარმოებულ სამუშაოების კუთხით, ვინაიდან გამოირიცხება ყოველგვარი სახის საფრთხის შემცველი პირობა სამშენებლო სამუშაოების მიხედვით. ასევე კვლევის ფარგლებში აღნიშნული ტერასას არ გააჩნია გადახურვა რის საფუძველზეც საჭიროა მოეწყოს მსუბუქი კონსტრუქციის საჩრდილობელი არსებულ რკინა-ბეტონის რიგელში ხისტი ჩამაგრებით, ვინაიდან ზედა აივნებიდან გაუთვალისწინებელ შემთხვევში ჩამოყლილი ნაგვავი და სხვა სახის დანიშნულების ნივთებით არ მოხდეს მაცხოვრებლის მიმართ ჯანმრთელობის დაზიანება. ქედან გამომიდნარე მოცემული სამუშაოები და მისი წარმოება ზემოთ ხსენებული პირობების ფარგლებში აკმაყოფილებს სამშენებლო სამუშაოების შედეგად უსაფრთხოების პირობებსა და ნორმატივებს.

დასკვნა

ჩვენს მიერ შესწავლილი ზემოთ აღნიშნული შენობის ელემენტების კონსტრუქციული მდგომარეობა დადგენილი დღეისათვის მოქმედ სამშენებლო სამუშაოების უსაფრთხოების ნორმებთან მიმართებაში წარმოებულია აუცილებელი პარამეტრების ფარგლებში, რაც ადასტურებს, რომ სამშენებლო სამუშაოები უსაფრთხოების თვალსზრისით შესრულებულია დადგენილი ნორმატივების გათვალისწინებით.

დირექტორი: ა. ყურაშვილი

კონსტრუქტორ-ექსპერტი:

/25. 10. 2017 წელი/